

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების
მარკეტინგული სტრატეგია

დანართი 5

სტატისტიკურ მონაცემთა კვლევის
ანგარიში

მომზადებულია:



თანამშრომლობით:



ბარსელონა/თბილისი 2012 წლის 1 აგვისტო

შინაარსი

გარემო	6
სოციო–ეკონომიური პროფილი	11
მიღწევადობა და ტრანსპორტი	22
ინფრასტრუქტურა	24

ცხრილების ჩამონათვალი

1. თითოეული რაიონის ფართობი (კმ2)	6
2. გეოგრაფიული მახასიათებლები	7
3. სიმაღლეები	7
4. ტერიტორიების გამოყენებადობა (კმ2).....	7
5. ჯიშების სახეობები.....	8
6. საშუალო ტემპერატურები	9
7. თვითური ნალექების რაოდენობა (მილიმეტრებში) 2010 წელს.....	9
8. ბუნებრივი საფრთხეები (მეწყერი) 2010 წელი	9
9. დაბინძურება (ტონები)	9
10. მოსახლეობა რაიონის მიხედვით	11
11. მოსახლეობა ქალაქების მიხედვით.....	12
12. ზრდის ტემპები	12
13. ასაკის სტრუქტურა და საშუალო ასაკი 2002 წელს	13
14. განათლება/წერა-კითხვის ცოდნა 2010.....	14
15. ეთნიკური ჯგუფები 2012.....	15
16. რელიგიური მრწამსი (2002)	15
17. ენების ცოდნის პროცენტული მაჩვენებელი (2002).....	16
18. ადმინისტრაციული სტრუქტურა.....	17
19. სექტორების მთლიანი დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	18
20. სექტორებში დასაქმება (2010)	19
21. მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	20
22. დასაქმების დონე.....	20
23. გზების სიგრძე 2010 წელს	22
24. მიკროავტობუსების გასვლის განრიგი	23
25. წყლის მიწოდება 2011 წელს.....	24
26. წყლის მოხმარება იმერეთში მუნიციპალიტეტების მიხედვით (კუბური მეტრი) 2011 წ. 25	
27. ელექტროენერგიით მომარაგება 2010 წელს	25
28. ბუნებრივი გაზის მიწოდება 2010 წელს	26

აბრევიატურების ნუსხა

GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
Geostat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
UWSC	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

ანგარიშის მიზანია შეისწავლოს იმერეთის შესახებ არსებული მეორადი ინფორმაცია იმ ფაქტორების საიდენტიფიკაციოდ, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიონ იმერეთის ტურიზმის განვითარებაზე. ანგარიში ოთხ ნაწილად იყოფა:

- გარემო
- სოციო-ეკონომიკური პროფილი
- მიღწევადობა და ტრანსპორტი
- ინფრასტრუქტურა

1 გარემო

ფართობი

იმერეთში სულ 12 მუნიციპალიტეტია. ცხრილში მოცემულია თითოეული მათგანის ზომა. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს მხოლოდ ქალაქ ქუთაისს, როდესაც სხვა მუნიციპალიტეტები, რომლებიც იმერეთის ქალაქების სახელებს ატარებენ, მოიცავენ არამარტო ქალაქებს, არამედ სოფლებს და მიწებს მათ გარშემო.

1. თითოეული რაიონის ფართობი (კმ²)

#	მუნიციპალიტეტი	ფართობი
1	ქუთაისი	67,70
2	ტყიბული	478,80
3	წყალტუბო	700,10
4	ჭიათურა	542,00
5	ბაღდათი	815,40
6	ვანი	557,00
7	ზესტაპონი	423,70
8	თერჯოლა	357,00
9	სამტრედია	364,10
10	საჩხერე	973,00
11	ხარაგაული	913,90
12	ხონი	428,50
13	ჯამი	6 621,00

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გეოგრაფია

იმერეთი იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად. იგი აღმოსავლეთით ლიხის ქედს ესაზღვრება, დასავლეთით მდ. ცხენისწყალს, ჩრდილოეთით კავკასიის მთებს, ხოლო სამხრეთით კი მესხეთის მთებს. იმერეთს რელიეფის ფართო სპექტრი აქვს, როგორცაა დაბლობები და მთიანი მაღლობები.

2. გეოგრაფიული მახასიათებლები

მუნიციპალიტეტი	გეოლოგიური მახასიათებლები
ზოგადად	<ul style="list-style-type: none"> ■ წითელი ნიადაგი; ■ ეწერიანი ნიადაგი; ■ შავმიწა ნიადაგი; ■ ფხვიერმიწა ნიადაგი;

წყარო: იმერეთის მუნიციპალიტეტები

რელიეფი კონტრასტულია და მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი ზღვის დონიდან 2 000 მეტრს სცდება, დასახლებები 1 000 მეტრზე ზემოთ არ არის. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის სიმაღლე მოცემულია შემდეგ ცხრილში.

3. სიმაღლეები

#	მუნიციპალიტეტი	მინიმუმი	საშუალო	მაქსიმუმი
1	ტყიბული	600	n.a.	800
2	ჭიათურა	340	n.a.	500
3	ბაღდათი	n.a.	232	n.a.
4	ვანი	n.a.	60	n.a.
5	ზესტაფონი	n.a.	160	n.a.
6	თერჯოლა	100	n.a.	400
7	ხარაგაული	285	420	2 642
8	ხონი	62	n.a.	2 437

წყარო: იმერეთის მუნიციპალიტეტები

ფართობის გამოყენება

4. ტერიტორიების გამოყენებადობა (კმ2)

#	მუნიციპალიტეტი	დაცული ტერიტ. კმ2	სამეურნეო ფართობი
1	ქუთაისი	0,00	0,00
2	ტყიბული	0,00	117,00
3	წყალტუბო	3,54	305,43
4	ჭიათურა	0,00	239,03
5	ბაღდათი	48,48	n.a.
6	ვანი	0,00	n.a.
7	ზესტაპონი	0,00	190,00
8	თერჯოლა	0,00	215,03
9	სამტრედია	0,00	n.a.
10	საჩხერე	0,00	172,93
11	ხარაგაული	760,00	124,84
12	ხონი	0,00	180,42
13	ჯამი	812,02	n.a.

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო; იმერეთის მუნიციპალიტეტები;

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთში მხოლოდ სამ დაცულ ტერიტორიაზეა ინფრასტრუქტურა განვითარებული, გარშემო დაახლოებით ოცი კარსტული მღვიმეა, სადაც ტურისტებს შეუძლიათ სტუმრობა. ბორჯომ-ხარაგაულის პარკი ყველაზე დიდი ბუნებრივი ნაკრძალია ევროპაში. უნდა აღინიშნოს, რომ პარკი მთლიანად იმერეთს არ ეკუთვნის, გარკვეული ნაწილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდებარეობს.

ფლორა/ფაუნა

იმერეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეებით არის დაფარული. იმერეთის დაბლობი კი დაფარულია კოლხური დაბალი ბუჩქებით, ჭალებით და მდელოებით. იმერეთის მთიან ნაწილში ძირითადად კოლხური ფოთლოვანი ტყეები გვხვდება.

იმერეთის ტყეები მდიდარია ცხოველებითა და ფრინველებით. ცხრილში მოცემულია ფლორისა და ფაუნის ყველაზე გავრცელებული წარმომადგენლები.

5. ჯიშების სახეობები

მუნიციპალიტეტი	ფლორის ჯიშების სახეობები	ენდემური ჯიშები	ფაუნის ჯიშების სახეობები	იშვიათი ჯიშები
ზოგადი	<ul style="list-style-type: none"> ■ ლინდენი ■ წაბლი ■ წიფელი ■ ატმის ხე ■ მურყანი ■ თხილი ■ ნაძვი ■ ფიჭვი ■ აკაცია ■ ტირიფი ■ მუხა 	<ul style="list-style-type: none"> ■ კოლხური მუხა ■ <i>Taxus baccata</i> ■ სტივენსის და ვინოგრადოვის ზამბახი ■ კავკასიური როდოდენდრონი 	<ul style="list-style-type: none"> ■ კურდღელი ■ ციყვი ■ მგელი ■ ტურა ■ მელა ■ დათვი ■ ფოცხვერი 	<ul style="list-style-type: none"> ■ კავკასიური გარეული თხა ■ კავკასიური ირემი ■ მთის არწივი ■ სვავი ■ კავკასიური როჭო

წყარო: იმერეთის მუნიციპალიტეტი

კლიმატი/ბუნებრივი საფრთხეები

იმერეთი ტენიანი, სუბტროპიკული რეგიონია ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი, მშრალი ზაფხულით. რელიეფური სხვაობის გამო მუნიციპალიტეტების ტემპერატურა ერთმანეთისგან განსხვავდება. ცხრილში მოცემულია საშუალო ტემპერატურა მთლიანად რეგიონში.

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
სტატისტიკური მონაცემების კვლევა

6. საშუალო ტემპერატურები

#	მუნიციპალიტეტი	წლიური საშუალო	იანვარის საშუალო	ივნისის საშუალო	მინიმალური	მაქსიმალური
1	ზოგადი	14,00	4,30	23,20	(8,00)	42,00

წყარო: იმერეთის მუნიციპალიტეტები

ნალექის ოდენობა მეტეოროლოგიური სადგურის მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში.

7. თვიური ნალექების რაოდენობა (მილიმეტრებში) 2010 წელს.

#	მეტეოსადგური	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	ქუთაისი	108,80	162,40	200,00	56,40	98,40	101,40
2	ზესტაფონი	116,10	96,30	168,40	68,20	34,40	110,10
3	საირმე	80,20	101,90	136,90	104,90	41,40	110,90
4	საჩხერე	132,80	74,30	160,70	83,60	60,30	87,20
#	მეტეოსადგური	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ქუთაისი	79,50	34,50	226,60	284,40	9,00	n.a
2	ზესტაფონი	71,60	37,10	104,70	206,40	8,30	n.a
3	საირმე	77,10	28,60	29,50	158,50	0,00	n.a
4	საჩხერე	26,40	29,70	121,00	223,20	6,10	n.a

წყარო: გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო

ზოგადად, წლის დასაწყისი შედარებით წვიმიანია იმერეთში და მარტამდე გრძელდება. ნალექების ოდენობა მკვეთრად მცირდება გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდებში, თუმცა კვლავ იწყება შემოდგომის მოსვლასთან ერთად. სექტემბერი და ოქტომბერი ყველაზე წვიმიანი დროა იმერეთში.

ყველაზე ხშირი ბუნებრივი საფრთხე იმერეთში მეწყერია. იგი დამოკიდებულია რეგიონში ნალექების ოდენობაზე. მთავრობამ საშიშ ზონაში მყოფი დასახლებების და შენობების შესახებ კვლევა ჩაატარა. კვლევის შედეგები მოცემულია მომდევნო ცხრილში.

8. ბუნებრივი საფრთხეები (მეწყერი) 2010 წელი

#	რეგიონი	შეფასებული დასახლებები	დასახლებები საფრთხის ზონად შეფასებული	შეფასებული შენობები	დასახლებები მაღალი საფრთხის ქვეშ ნაპოვნი
1	იმერეთი	62	34	361	77

წყარო: გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო

სტაციონალური წყაროებიდან წარმოშობილი ჰაერის დაბინძურება მოცემულია მომდევნო ცხრილში:

9. დაბინძურება (ტონები)

#	მუნიციპალიტეტი	2 000	2 005	2 007	2 008	2 009	2 010
1	შექმნილი გამონაბოლქვის ჯამი	3,60	27,80	19,20	20,70	13,90	20,50
2	დამუშავებული გამონაბოლქვი	3,10	19,20	8,10	8,60	4,70	5,70
3	ჰაერში გაფრქვეული გამონაბოლქვი	0,50	8,60	11,10	12,10	9,20	14,80

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს, რომ დაბინძურება არსებითად შემცირდა 2009 წელს, რაც გამოწვეულ იქნა რუსეთ–საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შედეგად საწარმოების ნაკლები პროდუქციის გამოშვებით ან წარმოების შეწყვეტით.

2 სოციო-ეკონომიური პროფილი

მოსახლეობა

საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი იმერეთში ცხოვრობს. 2011 წლის მონაცემებით 4,5 მილიონი ადამიანიდან 700 ათასი მხოლოდ იმერეთში რეგისტრირდება. ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმერეთშიც დიდ ქალაქებშია თავმოყრილი, ხოლო სოფლებში შედარებით მცირე რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს. მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს მოსახლეობის განაწილებას მუნიციპალიტეტების მიხედვით.

10. მოსახლეობა რაიონის მიხედვით

#	მუნიციპალიტეტი	2 002	2 008	2 009	2 010	2 011	2011 განაწილება
1	ქუთაისი	185 965	188 600	188 600	192 500	194 700	28%
2	ბაღდათი	29 235	28 600	28 500	28 700	28 800	4%
3	ვანი	34 464	33 700	33 700	33 800	33 800	5%
4	ზეესტაფონი	76 208	75 200	75 100	75 400	75 700	11%
5	ტერჯოლა	45 496	44 800	44 700	45 000	45 100	6%
6	სამტრედია	60 456	59 900	59 800	60 300	60 700	9%
7	საჩხერე	46 846	46 600	46 900	47 300	47 700	7%
8	ტყიბული	31 132	30 200	30 000	30 100	30 100	4%
9	წყალტუბო	73 889	73 200	73 000	73 600	73 800	10%
10	ჭიათურა	56 341	55 000	54 800	55 000	55 200	8%
11	ხარაგაული	27 885	27 400	27 400	27 500	27 500	4%
12	ხონი	31 749	31 000	31 000	31 200	31 400	4%
13	ჯამი	699 666	694 200	693 500	700 400	704 500	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შევნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მხოლოდ ქუთაისის მოიცავს, ის ბევრად აჭარბებს სხვა მუნიციპალიტეტების მოსახლეობას.

შემდეგ ცხრილში მოცემულია მოსახლეობის განაწილება მუნიციპალიტეტის დიდ ქალაქებსა და სოფლებში. მუნიციპალიტეტების უმეტესობას მხოლოდ ერთი დიდი ქალაქი აქვს, რომელიც ასევე მათი ადმინისტრაციული ცენტრია. მხოლოდ ზესტაფონსა და სამტრედიას აქვთ დამატებითი დასახლებები, რომლებიც შესაძლოა განვიხილოთ, როგორც პატარა ქალაქები.

11. მოსახლეობა ქალაქების მიხედვით

#	მუნიციპალიტეტი	დასახლება	2 008	2 009	2 010	2 011
1	ქუთაისი	ქუთაისი	188 600	188 600	192 500	194 700
2	ბაღდათი	ბაღდათი	4 700	4 800	4 900	4 900
3	ბაღდათი	სოფლები	23 900	23 700	23 800	23 900
4	ვანი	ვანი	4 500	4 600	4 700	4 700
5	ვანი	სოფლები	29 200	29 100	29 100	29 100
6	ზესტაფონი	ზესტაფონი	24 400	24 500	24 800	25 000
7	ზესტაფონი	შორაპანი	1 500	1 500	1 500	1 500
8	ზესტაფონი	სოფლები	49 300	49 100	49 100	49 200
9	თერჯოლა	თერჯოლა	5 900	6 100	6 300	6 300
10	თერჯოლა	სოფლები	38 900	38 600	38 700	38 800
11	სამტრედია	სამტრედია	29 700	29 600	30 000	30 300
12	სამტრედია	კულაში	1 800	1 800	1 800	1 800
13	სამტრედია	სოფლები	28 400	28 400	28 500	28 600
14	საჩხერე	საჩხერე	6 700	6 900	7 100	7 200
15	საჩხერე	სოფლები	39 900	40 000	40 200	40 500
16	ტყიბული	ტყიბული	13 900	13 800	13 900	14 000
17	ტყიბული	სოფლები	16 300	16 200	16 200	16 100
18	წყალტუბო	წყალტუბო	16 800	16 800	17 100	17 200
19	წყალტუბო	სოფლები	56 400	56 200	56 500	56 600
20	ჭიათურა	ჭიათურა	13 700	13 800	14 100	14 200
21	ჭიათურა	სოფლები	41 300	41 000	40 900	41 000
22	ხარაგაული	ხარაგაული	2 400	2 500	2 600	2 600
23	ხარაგაული	სოფლები	25 000	24 900	24 900	24 900
24	ხონი	ხონი	11 000	11 000	11 100	11 200
25	ხონი	სოფლები	20 000	20 000	20 100	20 200

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობა მუნიციპალიტეტების შიგნით მეტ-ნაკლებად სტაბილურია, შედარებით სწრაფი ზრდის ტემპებით ქუთაისი გამოირჩევა.

12. ზრდის ტემპები

#	მუნიციპალიტეტი	2008 - 2009	2009 - 2010	2010 - 2011
1	ქუთაისი	0,00	2,07	1,14
2	ბაღდათი	(0,35)	0,70	0,35
3	ვანი	0,00	0,30	0,00
4	ზესტაფონი	(0,13)	0,40	0,40
5	ტერჯოლა	(0,22)	0,67	0,22
6	სამტრედია	(0,17)	0,84	0,66
7	საჩხერე	0,64	0,85	0,85
8	ტყიბული	(0,66)	0,33	0,00
9	წყალტუბო	(0,27)	0,82	0,27
10	ჭიათურა	(0,36)	0,36	0,36
11	ხარაგაული	0,00	0,36	0,00
12	ხონი	0,00	0,65	0,64
13	ჯამი	(0,10)	0,99	0,59

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
სტატისტიკური მონაცემების კვლევა

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ბოლოს 2002 წელს ჩატარდა, აქედან გამომდინარე ცხრილებში მოცემული ინფორმაცია სწორედ ამ პერიოდისათვის არსებულ მდგომარეობას ასახავს. 2002 წლიდან მხოლოდ ძირითადი, მოსახლეობის რაოდენობის მიმდინარე მონაცემების შეგროვება ხდებოდა. მომდევნო ცხრილში მოცემულია ასაკობრივი სტრუქტურა თითოეული მუნიციპალიტეტისთვის.

13. ასაკის სტრუქტურა და საშუალო ასაკი 2002 წელს

#	მუნიციპალიტეტი	საშუალო ასაკი	0 - 4	5 - 9	10 - 14	15-19	20-24	25-29	30-34
1	ქუთაისი	35,5	8 390	11 861	15 590	16 012	14 030	12 775	12 382
2	ტყიბული	40,5	1 347	1 813	2 363	2 185	1 944	1 804	1 818
3	წყალტუბო	37,8	3 627	4 854	5 674	5 455	5 407	5 316	4 961
4	ჭიათურა	38,4	3 038	3 667	4 994	4 166	3 229	3 247	3 600
5	ბაღდათი	39,5	1 477	1 922	2 226	1 993	1 912	1 945	1 758
6	განი	40,3	1 534	2 263	2 607	2 328	2 134	2 237	2 091
7	ზესტაპონი	38,1	4 105	5 166	5 927	5 404	5 000	5 003	5 178
8	თერჯოლა	39,3	2 345	3 076	3 425	3 215	2 891	2 879	2 849
9	სამტრედია	38,7	2 837	3 956	4 593	4 222	4 126	4 182	3 850
10	საჩხერე	37,6	2 734	3 138	3 777	3 628	3 135	3 100	3 103
11	ხარაგაული	40,6	1 524	1 821	2 136	1 844	1 587	1 611	1 673
12	ხონი	38,8	1 560	2 065	2 501	2 312	2 020	2 083	2 101
13	ჯამი	37,9	34 518	45 602	55 813	52 764	47 415	46 182	45 364
14	მთელი მოსახლეობის წილი	n.a.	4,93%	6,52%	7,98%	7,54%	6,78%	6,60%	6,48%

#	მუნიციპალიტეტი	35-39	40-45	45-49	50-54	55-59	60-64	65-69	70-74
1	ქუთაისი	14 638	16 199	13 713	11 619	6 523	10 787	7 786	6 173
2	ტყიბული	2 186	2 343	2 208	1 825	1 111	2 244	1 968	2 000
3	წყალტუბო	5 288	5 392	5 021	4 430	2 562	5 157	4 017	3 380
4	ჭიათურა	4 235	4 271	3 679	2 980	1 806	3 929	3 303	3 166
5	ბაღდათი	1 941	2 015	1 827	1 677	1 097	2 145	1 798	1 755
6	განი	2 347	2 341	2 150	1 946	1 186	2 587	2 107	2 165
7	ზესტაპონი	5 451	5 723	5 086	4 503	2 725	5 249	3 956	3 830
8	თერჯოლა	3 112	3 195	2 977	2 558	1 570	3 280	2 711	2 528
9	სამტრედია	4 410	4 412	4 166	3 836	2 246	4 272	3 251	2 882
10	საჩხერე	3 440	3 549	2 821	2 404	1 467	3 139	2 693	2 337
11	ხარაგაული	1 932	1 844	1 553	1 367	855	2 148	1 974	1 944
12	ხონი	2 242	2 295	2 047	1 819	1 152	2 302	1 830	1 594
13	ჯამი	51 222	53 579	47 248	40 964	24 300	47 239	37 394	33 754
14	მთელი მოსახლეობის წილი	7,32%	7,66%	6,75%	5,85%	3,47%	6,75%	5,34%	4,82%

#	მუნიციპალიტეტი	75-79	80-84	85-89	90-94	95-99	100-ზე	უცნობი
1	ქუთაისი	3 359	1 279	565	128	32	8	2 116
2	ტყიბული	1 303	412	175	68	10	4	1
3	წყალტუბო	1 932	809	400	148	40	13	6
4	ჭიათურა	1 933	686	293	86	26	7	0
5	ბაღდათი	934	465	209	86	35	18	0
6	განი	1 348	637	290	97	39	21	9
7	ზესტაპონი	2 194	1 021	509	136	33	9	0
8	თერჯოლა	1 679	686	344	124	31	20	1
9	სამტრედია	1 839	861	357	122	26	10	0
10	საჩხერე	1 431	558	265	88	29	10	0
11	ხარაგაული	1 234	470	253	85	23	7	0
12	ხონი	1 072	421	231	75	17	9	1
13	ჯამი	20 258	8 305	3 891	1 243	341	136	2 134
14	მთელი მოსახლეობის წილი	2,90%	1,19%	0,56%	0,18%	0,05%	0,02%	0,31%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობა, როგორც ჩანს, მუნიციპალიტეტებს შორის თანაბრად განაწილებული, საშუალო ასაკი კი 39 წელია. ყველაზე დაბალი საშუალო ასაკი – 35,5 წელი ქუთაისშია, ხოლო ყველაზე მაღალი – 40,6 კი ხარაგაულში. ეს თითქოს ადასტურებს ზოგად აზრს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა სოფელს ტოვებს და ქალაქისკენ მიემგზავრება. თუმცა, როგორც ჩანს ეს მკვეთრად არ ხდება. საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში 77,32 წელია.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის მცდონეა, უმეტესობას საშუალო განათლება აქვს მიღებული, ნახევარზე ნაკლებს კი - უმაღლესი. მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს მიღებული განათლების მიხედვით მოსახლეობის განაწილებას.

14. განათლება/წერა-კითხვის ცოდნა 2010

#	განათლება	მოსახლეობის პროცენტი
1	დაწყებითი სკოლა (პირველი ოთხი კლასი)	2,9%
2	დაუმთავრებელი საშუალო სკოლა (პირველი რვა კლასი)	9,5%
3	საშუალო	43,4%
4	პროფესიული*	3,9%
5	ხელობის კვალიფიკაცია**	20,0%
6	უმაღლესი	19,2%
7	განათლების გარეშე / უცნობი	1,1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

* საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა საშუალო სკოლის შემდეგ ე.წ. „პროფესიონალურ“ განათლებას იღებდა. პროფესიონალური განათლება ნიშნავდა კონკრეტულ პროფესიების შესახებ განათლების მიღებას და უნარის გამომუშავებას.

** საშუალო სკოლის შემდგომ მიღებული განათლება კონკრეტულ სფეროში სამუშაოდ.

მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს მოსახლეობის დაყოფას ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
სტატისტიკური მონაცემების კვლევა

15. ეთნიკური ჯგუფები 2012

#	მუნიციპალიტეტი	ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინი	ქურთი
1	ქუთაისი	181 465	92	245	613	2 223	132	127	293	52
2	ტიბული	30 656	29	35	41	282	6	10	40	0
3	წყალტუბო	72 885	48	58	130	576	55	16	73	2
4	ჭიათურა	55 802	17	22	217	190	10	40	20	0
5	ბაღდათი	29 073	7	10	22	91	5	1	7	0
6	ვანი	34 279	24	13	8	96	18	9	9	0
7	ზესტაფონი	75 412	53	56	141	370	7	6	72	0
8	თერჯოლა	45 220	29	13	38	150	4	1	15	0
9	სამტრედია	58 883	33	39	615	635	24	22	80	0
10	საჩხერე	46 591	11	117	20	84	0	5	8	1
11	ხარაგაული	27 728	7	22	20	85	8	2	5	0
12	ხონი	31 496	38	9	25	142	5	3	14	1
13	ჯამი	689 490	388	639	1 890	4 924	274	242	636	56
14	მთელი მოსახლეობის წილი	98,70%	0,06%	0,09%	0,27%	0,70%	0,04%	0,03%	0,09%	0,01%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში მთლიანი მოსახლეობის 84.7% ქართულ ეთნოსს ეკუთვნის, როდესაც იმერეთში ეს მაჩვენებელი 98.7%-ს აღწევს. მომდევნო უდიდესი ეთნიკური ჯგუფი რუსებისგან შედგება, დიდი წილი სომხებსა და სხვა დანარჩენ ეროვნებებს უკავიათ.

მომდევნო ცხრილში მოცემულია მოსახლეობის განაწილება მათი რელიგიური მრწამსის მიხედვით.

16. რელიგიური მრწამსი (2002)

#	მუნიციპალიტეტი	ქრისტიანი			იუდაიზმი	მუსულმანი	სხვა	ათეისტი	უცნობი
		მართლმადიდებელი	კათოლიკე	გრიგორიანელი					
1	ქუთაისი	184 071	115	241	299	235	733	270	1
2	ტიბული	31 004	4	9	3	12	18	82	0
3	წყალტუბო	73 271	12	65	15	58	237	231	0
4	ჭიათურა	55 925	118	26	6	24	151	91	0
5	ბაღდათი	29 069	4	6	9	29	97	21	0
6	ვანი	33 957	10	3	1	302	51	140	0
7	ზესტაფონი	75 788	40	25	11	22	204	118	0
8	თერჯოლა	45 352	3	16	1	4	49	71	0
9	სამტრედია	59 709	13	180	11	298	160	85	0
10	საჩხერე	46 616	1	8	0	1	68	152	0
11	ხარაგაული	27 758	5	5	9	0	85	23	0
12	ხონი	30 942	153	7	0	564	54	29	0
13	ჯამი	693 462	478	591	365	1 549	1 907	1 313	1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველო ერთ-ერთი უმველესი ქრისტიანული ქვეყანაა. დღემდე იმერეთის მოსახლეობის 99% ქრისტიანია, სადაც უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელ ქრისტიანობას აღიარებს.

მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს მოსახლეობის ნაწილს, რომელსაც შეუძლია სხვა ენებზე გამართულად საუბარი.

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
სტატისტიკური მონაცემების კვლევა

17. ენების ცოდნის პროცენტული მაჩვენებელი (2002)


#	მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	ქართული	აფხაზური	აზერბაიჯანული	ოსური	რუსული
1	ქუთაისი	185 965	98,89%	0,12%	0,14%	0,14%	35,44%
2	ტყიბული	31 132	99,28%	0,15%	0,05%	0,12%	23,06%
3	წყალტუბო	73 889	99,32%	0,09%	0,10%	0,08%	25,23%
4	ჭიათურა	56 341	99,71%	0,06%	0,03%	0,04%	12,01%
5	ბაღდათი	29 235	99,83%	0,04%	0,05%	0,03%	22,96%
6	ვანი	34 464	99,70%	0,08%	0,07%	0,04%	9,56%
7	ზეგტაფონი	76 208	99,62%	0,09%	0,03%	0,09%	18,57%
8	თერჯოლა	45 496	99,69%	0,07%	0,02%	0,04%	11,27%
9	სამტრედია	60 456	99,16%	0,08%	0,18%	0,08%	27,36%
10	საჩხერე	46 846	99,79%	0,04%	0,01%	0,37%	12,25%
11	ხარაგაული	27 885	99,83%	0,03%	0,05%	0,09%	11,33%
12	ხონი	31 749	99,59%	0,17%	0,03%	0,03%	18,91%
13	ჯამი	699 666	99,38%	0,09%	0,08%	0,11%	22,76%
#	მუნიციპალიტეტი	სომხური	ინგლისური	ფრანგული	გერმანული	სხვა	
1	ქუთაისი	0,38%	4,44%	0,46%	1,66%	1,08%	
2	ტყიბული	0,16%	0,55%	0,26%	0,91%	0,53%	
3	წყალტუბო	0,27%	1,47%	0,13%	0,67%	0,66%	
4	ჭიათურა	0,41%	0,62%	0,13%	0,57%	0,32%	
5	ბაღდათი	0,11%	0,85%	0,29%	0,71%	0,33%	
6	ვანი	0,04%	0,49%	0,09%	0,37%	0,46%	
7	ზეგტაფონი	0,21%	0,71%	0,36%	0,73%	0,43%	
8	თერჯოლა	0,10%	0,50%	0,06%	0,54%	0,27%	
9	სამტრედია	1,07%	0,92%	0,53%	1,01%	0,67%	
10	საჩხერე	0,07%	0,63%	0,13%	0,44%	0,27%	
11	ხარაგაული	0,10%	0,18%	0,26%	0,23%	0,25%	
12	ხონი	0,14%	0,90%	0,04%	0,93%	0,50%	
13	ჯამი	0,31%	1,75%	0,29%	0,93%	0,61%	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამწუხაროდ, ბოლო აღწერა, რომელიც იმერეთში ჩატარდა 2002 წელს იყო და დღეს შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი ფლობს ინგლისურს ვიდრე 10 წლის წინათ. 2002 წლის მონაცემებით კი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართულად საუბრობდა, ისინი ასევე ფლობდნენ რუსულსაც. შევნიშნოთ, რომ ცხრილში მოცემულია მოსახლეობა, რომელიც ამა თუ იმ ენაზე გამართულად საუბრობს, აქ არ არის მოცემული მოსახლეობა, რომელმაც ენები მეტ-ნაკლებად იციან.

მთავრობა

18. ადმინისტრაციული სტრუქტურა



წყარო: იმერეთის მუნიციპალიტეტები

ადმინისტრაციული სტრუქტურის ზედა დონეზე გუბერნატორის სამსახურია, რომელიც მდებარეობს იმერეთის ცენტრალურ ქალაქში და საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქ – ქუთაისში. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გუბერნატორს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს. გუბერნატორის ოფისი ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მუნიციპალიტეტებს მართავს.

თითოეულ მუნიციპალიტეტს თავისი ადმინისტრაციული ცენტრი აქვს, რომელიც რაიონის უდიდეს ქალაქს წარმოადგენს და მისი სახელიდან გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის სახელიც. ქუთაისის გამონაკლისის სახითაა, ქუთაისის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სხვა დამატებითი ტერიტორია უმალოდ ქალაქის გარდა. მუნიციპალიტეტი იმართება ორი განყოფილების მიერ: ადმსრულებელი (გამგეობა) და საკანონმდებლო (საკრებულო). გამგეობის სათავეშია ადმსრულებელი შტოს ლიდერი – გამგებელი, რამოდენიმე მოადგილით, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან მმართველობის სხვადასხვა სფეროებში. საკრებულოს მართავს ადმსრულებელი ორგანოს

თავმჯდომარე და მისი მრჩეველები, სხვადასხვა სფეროში სპეციალიზირებული პირები.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი მართავს სოფლების გაერთიანებებს – იგივე თემებს ან ცალკეულ სოფლებს. ზოგადად პატარა სოფლები გაერთიანებულია ერთ თემში, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. თემებს და სოფლებს თავისი რწმუნებულები ჰყავთ, რომლებიც მუნიციპალური მთავრობის დავალებებს ასრულებენ პასუხისმგებელ ადამიანებთან ერთად და წარმოადგენენ მთავრობას.

ადგილობრივი მთავრობის დონეზე არ არსებობს სააგენტო, რომელიც ტურიზმის საკითხებზე მუშაობს. მხოლოდ ქუთაისის მერის სამსახურშია ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი, სადაც რამოდენიმე ტურიზმის სპეციალისტია დასაქმებული.

არჩევნების სიხშირე. საკრებულოს თავმჯდომარე არჩევნების მიხედვით ინიშნება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. გამგეობის თავმჯდომარე კი საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიშნება სამეურვეო საბჭოს წევრების თანხმობით.

ეკონომიკა

სამწუხაროდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოყენებული მეთოდებიდან გამომდინარე, შეუძლებელია რაიონებში მშპ–ს გამოთვლა ინდუსტრიების მიხედვით. მშპ–სთან შედარებით ახლოს მდგარი მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებელია. ვინაიდან მთლიანი შიდა პროდუქტი არის მთლიან დამატებულ ღირებულებას დამატებული დღგ, აქციზი და საიმპორტო გადასახადი, გამოკლებული სუბსიდიები, შეგვიძლია დავინახოთ რეალური სურათი.

19. სექტორების მთლიანი დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)

#	ინდუსტრია;	2 006	2 007	2 008	2 009	2 010	2010 წლის წილი
1	მეურნეობა; ნადირობა; თევზჭერა;	297	288	277	277	258	12%
2	მრეწველობა;	82	238	330	190	311	15%
3	შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამამუშავება	66	86	97	100	105	5%
4	მშენებლობა	26	46	33	28	27	1%
5	ვაჭრობა; ავტომობილების და ტექნიკის რემონტი	88	110	112	152	223	11%
6	ტრანსპორტირება და კომუნიკაციები	57	64	62	43	47	2%
7	სახელმწიფო მმართველობა	170	284	431	469	331	16%
8	განათლება	102	111	128	152	144	7%
9	ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა	99	106	140	188	222	11%
10	სასტუმროები და რესტორნები	20	23	24	28	31	1%
11	სხვადასხვა მომსახურება	206	225	296	282	414	20%
12	დამატებული ღირებულების ჯამი	1 213	1 583	1 928	1 908	2 112	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
სტატისტიკური მონაცემების კვლევა

მუნიციპალიტეტის დონეზე არ მოიპოვება სექტორებში დასაქმების შესახებ მონაცემები, თუმცა იმერეთის დონეზე ეს მონაცემი ხელმისაწვდომია. მომდევნო ცხრილში მოცემულია სხვადასხვა სექტორში დასაქმებულების რაოდენობა.

20. სექტორებში დასაქმება (2010)

#	ინდუსტრია	დასაქმებულების რაოდენობა	მთლიანი დასაქმების წილი
1	მეურნეობა; ნადირობა; თევზჭერა;	607	1,35%
2	სამთო საქმე და მოპოვება	1 500	3,33%
3	პროდუქციის გადამამუშავება	11 491	25,54%
4	კვების პროდუქცია (სასმელის ჩათვლით)	1 539	3,42%
5	ქსოვილების და ქსოვილის პროდუქციის წარმოება	506	1,12%
6	ტყავის, ტყავის პროდუქციის და ფეხსაცმლის წარმოება	160	0,36%
7	ხის გადამამუშავება და ხის ნაწარმის წარმოება	310	0,69%
8	ცელულოზა ქაღალდის წარმოება; წიგნის გამოცემის ინდუსტრია;	142	0,32%
9	რეზინის და პლასტიკის წარმოება	245	0,54%
10	სხვა არამეტალისებრი მინერალური ნაწარმის წარმოება	855	1,90%
11	მეტალურგია და მეტალის ნაწარმის წარმოება	7 047	15,66%
12	ავტომობილების და ტექნიკის წარმოება	149	0,33%
13	ელექტრონული და ოპტიკური ნაწარმი	192	0,43%
14	ტრანსპორტირება	118	0,26%
15	სხვა ნაწარმის წარმოება	195	0,43%
16	ენერჯის, წყლის და გაზის წარმოება და განწილება	874	1,94%
17	მშენებლობა	2 111	4,69%
18	ვაჭრობა; ავტომობილების და ტექნიკის რემონტი	4 384	9,74%
19	სასტუმროები და რესტორნები	599	1,33%
20	ტრანსპორტირება და კომუნიკაციები	1 129	2,51%
21	უმრავი ქონება	2 015	4,48%
22	ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა	7 581	16,85%
23	კომუნალური, სოციალური და პირადი სერვისები	1 242	2,76%
24	მთლიანი დასაქმება	44 991	100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილის პირველი ელემენტი ეხება არა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს, არამედ ამ სექტორში ბიზნესის კუთხით დასაქმებულებს. იმერეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. ცხრილში კარგად ჩანს, რომ მხოლოდ 6%-ია არასასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული. გადამამუშავებელ სექტორში დაახლოებით 11 491 ადამიანია ჩართული ყოველწლიურად.

მონაცემები ასევე არ მოიძებნება მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ მოსახლეობის ერთ სულზე მუნიციპალიტეტების მიხედვით, მაგრამ მოცემულია მთლიანად იმერეთის რეგიონის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე.

21. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)

#	დასახელება	2,006	2,007	2,008	2,009	2,010
1	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე	1,730	2,270	2,780	2,750	3,020

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშპ მოსახლეობის ერთ სულზე სწრაფად იზრდებოდა 2006 წლიდან 2008 წლამდე. იგი შეჩერდა 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის გამო, შემდგომ კი ნაწილობრივ გაიზარდა და მდგრადად აგრძელებს ზრდას.

დასაქმების შესახებ მონაცემებიც ცალკე იმერეთის რეგიონის შესახებ არ მოიძიება, თუმცა მოიძიება იმერეთის, ქვემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის კომბინირებული მაჩვენებელი. უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოსახლეობის მცირერიცხოვნობის გამო მონაცემები ძირითადად იმერეთის მდგომარეობას ასახავს. მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს მონაცემებს 15 წლიდან ზევით სამუშაო ძალისა და დასაქმების დონის შესახებ.

22. დასაქმების დონე

#	ინდუსტრია	დასაქმებულების რაოდენობა
1	მთლიანი სამუშაო ძალა	366 000
2	დასაქმებული	323 500
3	უმუშევარი	42 500
4	სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობა	167 100
5	უმუშევრობის დონე	11,6%
6	აქტიური მოსახლეობა	67,7%
7	დასაქმებული მოსახლეობა	60,7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბუნებრივი რესურსები

იმერეთში ბუნებრივი რესურსების დიდი საბადოები არ არსებობს, გარდა მანგანუმის და ხე-ტყის. თუმცა არსებობს სხვადასხვა მინერალების მცირე საბადოები. იმერეთში არსებული რესურსების ჩამონათვალი შემდეგნაირია:

- ხე-ტყე
- ჰიდროელექტროსადგური
- მანგანუმი
- კვარცის ქვიშა-ქვა
- ქვანახშირი
- აქატი
- ხრეში
- თიხოვანი ფიქალი
- ასპიდის ფიქალი
- ბარიტი
- მარმარილო
- ცეცხლის თიხა

3 მიღწევადობა და ტრანსპორტი

გზები

იმერეთს ერთი მთავარი გზა კვეთს. იგი თბილისში იწყება და ქუთაისის გზაზე ზესტაფონსაც გადის, შემდეგ ფოთისკენ მიემართება სამტრედიის გავლით. თბილისიდან ქუთაისამდე მანძილი 253 კმ-ა.

ცხრილში მოცემულია იმერეთში გზების სიგრძე მუნიციპალიტეტების მიხედვით.

23. გზების სიგრძე 2010 წელს

#	მუნიციპალიტეტი	გზები (კმ)	ფართობი	გზები კმ ² -ზე (კმ / კმ ²)
1	ტყიბული	188,3	478,80	0,39
2	წყალტუბო	129,3	700,10	0,18
3	ჭიათურა	149,2	542,00	0,28
4	ბაღდათი	156,4	815,40	0,19
5	ვანი	171,0	557,00	0,31
6	ზესტაფონი	186,5	423,70	0,44
7	თერჯოლა	132,0	357,00	0,37
8	სამტრედია	160,0	364,10	0,44
9	საჩხერე	157,3	973,00	0,16
10	ხარაგაული	89,0	913,90	0,10
11	ხონი	119,1	428,50	0,28
12	ჯამი	1 638,1	6 621,00	0,25

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმერეთის გზების სიგრძე ჯამში 1 638 კმ-ა. გზების რაოდენობის უმეტესი ნაწილი კვადრატულ კილომეტრზე დაანგარიშებით ზესტაფონს და სამტრედიას აქვთ – 440 მ კმ²-ზე. ხარაგაულს ყველაზე მცირე გზა აქვს – 100მ 1 კმ²-ზე. საშუალოდ 1 კმ² – ზე გზების 250მ მოდის იმერეთის რეგიონში.

ავტობუსები

არსებობს მიკროავტობუსების სამარშრუტო სისტემა, რომელიც მგზავრებს თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით გადაადგილებს, ასევე იმერეთის რეგიონშიც ქუთაისიდან სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ხდება გადაადგილება. ცხრილში მოცემულია მიკროავტობუსების განრიგი და მგზავრობის საფასური.

24. მიკროავტობუსების გასვლის განრიგი

#	მარშრუტი	პირველი გასვლა	ბოლო გასვლა	სიხშირე	ბილეთის ფასი (ლარი)
1	თბილისი – ქუთაისი	08:00	20:00	ყოველ 30 წუთში 14:00–მდე ყოველ 1 საათში 14:00 შემდგომ	10,00
2	ქუთაისი – თბილისი	07:00	18:00	ყოველ 1 საათში	10,00
3	ქუთაისი – ტყიბული	n.a.	n.a.	n.a.	n.a.
4	ქუთაისი – წყალტუბო	08:00	19:00	ყოველ 20 წუთში	1,50
5	ქუთაისი – ჭიათურა	07:20	16:30	ყოველ 20 წუთში	7,00
6	ქუთაისი – ზაღდათი	07:00	18:00	ყოველ 1 საათში	2,00
7	ქუთაისი – ვანი	07:00	19:00	ყოველ 1 საათში	3,50
8	ქუთაისი – ზესტაფონი	07:00	18:00	ყოველ 1 საათში	2,00
9	ქუთაისი – თერჯოლა	08:20	17:00	გადის: 08:20; 13:20; 17:00;	2,50
10	ქუთაისი – სამტრედია	07:00	18:00	ყოველ 20 წუთში	2,00
11	ქუთაისი – საჩხერე	07:20	16:30	ყოველ 20 წუთში	7,00
12	ქუთაისი – ხარაგაული	06:20	17:00	გადის: 06:20; 06:50; 12:30; 14:30; 17:00;	5,00
13	ქუთაისი – ხონი	08:00	18:00	ყოველ 2 საათში	2,00

წყარო: დიდუბის და ქუთაისის ავტობუსების ცენტრალური ტერმინალები

მიკროავტობუსები თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით დიდუბის ავტოსადგურიდან გადიან ყოველდღიურად 8:00–დან 20:00 საათამდე. 14:00 საათამდე მიკროავტობუსები ყოველ ნახევარსაათში ერთხელ გადიან, ხოლო 14:00 საათის შემდეგ კი - ყოველ 1 საათში. ბილეთის ფასი 10 ლარია.

რეგულარულად მოძრაობს მიკროავტობუსები ქუთაისის ცენტრალური ავტოსადგურიდან თბილისის მიმართულებით, ასევე მუნიციპალიტეტების მიმართულებითაც. გასვლა ყოველ 20 წუთში ერთხელ ხდება, თერჯოლისა და ხარაგაულის გამოკლებით. ქუთაისიდან თერჯოლის მიმართულებით მხოლოდ 3 გასვლაა კონკრეტულ საათებში. ხარაგაულს გასვლების უფრო დიდი რაოდენობა აქვს, თუმცა სხვადასხვა დროს, დაულაგებელი განრიგით. ტყიბულის შესახებ მონაცემები ამ მომენტისათვის არ მოიპოვება. იმერეთი შიგნით მარშრუტის ღირებულება 1,5–დან 7ლარამდე მერყეობს.

4 ინფრასტრუქტურა

წყლით მომარაგება/მოხმარება

მუნიციპალიტეტების უმეტესობა წყალს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან იღებს, რომელიც პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ცენტრებში წყლის მიწოდებაზე, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ წყალს შემოგარენ სოფლებში ანაწილებს. უნდა აღინიშნოს, რომ წყლის მიწოდების დაფარვის ქსელი მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ქალაქზე ვრცელდება, რაც შეეხება შემოგარენ სოფლებს, მათზე ინფორმაცია არ მოიძიება. წყლის მოხმარება, მეორეს მხრივ, მხოლოდ მთლიან მუნიციპალიტეტზე ვრცელდება. მომდევნო ცხრილში არ არის ნაჩვენები ვანის და საჩხერეს მუნიციპალიტეტების შესახებ მონაცემები. ეს იმიტომ, რომ ვანი არ არის დაკავშირებული ცენტრალურ გამანაწილებელ ქსელთან, თუმცა დაკავშირებაზე ორიენტირებული სამუშაოები უკვე დაიწყო, რომელიც 2013 წელს უნდა დასრულდეს. საჩხერეს კი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არ ემსახურება, ადგილობრივი მთავრობაა პასუხისმგებელი წყლის მიწოდებაზე.

მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს ცენტრალური წყლის მიწოდების ქსელს, წყლის მიწოდების განრიგს და მუნიციპალიტეტების მიერ მათ მოხმარებას.

25. წყლის მიწოდება 2011 წელს

#	ქალაქი	გაყვანილობასთან მიერთებული მოსახლეობის პროცენტი	მიწოდების განრიგი	
			წყლით მომარაგებული მოსახლეობის პროცენტი	წყლის მიწოდების საათების რაოდენობა
1	ქუთაისი	98%	16,7%	24
			81,4%	4 - 6
2	ტყიბული	69%	6,9%	24
			62,1%	4 - 8
3	წყალტუბო	100%	10,0%	24
			30,0%	2
4	ჭიათურა	95%	60,0%	4 - 8
			76,0%	4 - 6
5	ბაღდათი	86%	19,0%	3
			30,1%	24
6	ზესტაფონი	60%	55,9%	8
			60,0%	3 - 5
7	თერჯოლა	70%	14,0%	24
			56,0%	4 - 5
8	სამტრედია	30%	30,4%	24
9	ხარაგაული	70%	70,0%	24
10	ხონი	67%	67,0%	24

წყარო: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

მხოლოდ ქ. წყალტუბოა 100%-ით დაკავშირებული წყლის ცენტრალურ გამანაწილებელ ქსელთან. ქუთაისი და ჭიათურაც თითქმის მთლიანად არის

გადაფარული, ოჯახების დაახლოებით 95% დაკავშირებულია გამანაწილებელ ქსელთან. ყველაზე ცუდი მდგომარეობა სამტრედიაშია, სადაც სადისტრიბუციო სისტემასთან ოჯახების დაახლოებით 30%-ია დაკავშირებული, თუმცა ისინი წყალს 24 საათის განმავლობაში იღებენ. წყლის მიწოდების საათების რაოდენობა ქალაქიდან ქალაქამდე განსხვავდება, ზოგიერთ ქალაქში კი უბნიდან-უბნამდე-ზოგიერთი უბანი წყალს 24 საათის განმავლობაში იღებს, ზოგი კი - დღეში მხოლოდ რამოდენიმე საათის განმავლობაში.

26. წყლის მოხმარება იმერეთში მუნიციპალიტეტების მიხედვით (კუბური მეტრი) 2011 წ.

#	მუნიციპალიტეტი	შინამეურნეობა	ბიზნეს ორგანიზაცია	მთლიანი მოხმარება
1	ქუთაისი	14 909 128	887 459	15 796 587
2	ტიბულთი	1 076 320	13 262	1 089 582
3	წყალტუბო	1 544 101	41 679	1 585 780
4	ჭიათურა	2 024 921	21 889	2 046 810
5	ბაღდათი	450 480	28 790	479 270
6	ზესტაფონი	1 789 469	38 772	1 828 241
7	თერჯოლა	560 124	34 892	595 016
8	სამტრედია	2 378 638	41 279	2 419 917
9	ხარაგაული	465 606	9 461	475 067
10	ხონი	1 110 150	129 985	1 240 135
11	ჯამი	26 308 937	1 247 469	27 556 406

წყარო: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

წყლის ყველაზე დიდი რაოდენობის მოხმარებით ქუთაისი გამოირჩევა. 2011 წელს წყლის მოხმარება დაახლოებით 16 მლნ კუბური მეტრი იყო. მეორე ადგილზე სამტრედიაა 2.4 მლნ მ3 წყლის მოხმარებით. ხარაგაულს ყველაზე მცირე მოხმარება ახასიათებს – 475,000 მ3. ჯამში იმერეთში წყლის მოხმარება 2011 წელს 27.5 მლნ მ3 წყალი იყო.

ელექტროენერჯის მიწოდება

მომდევნო ცხრილი გვიჩვენებს იმერეთის რეგიონის მოსახლეობის პროცენტულ ნაწილს, რომელსაც ელექტროენერჯია და ბუნებრივი გაზი მიეწოდება.

27. ელექტროენერჯით მომარაგება 2010 წელს

#	რეგიონი	მომარაგებული მოსახლეობის პროცენტი
1	იმერეთი	99%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმერეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (99%) მარაგდება ელექტროენერჯით.

ბუნებრივი გაზის მიწოდება

28. ბუნებრივი გაზის მიწოდება 2010 წელს

#	მიწოდების წყარო	მომარაგებული მოსახლეობის პროცენტი
1	ცენტრალური სისტემა	31,80%
2	გაზის ცილინდრები	28,77%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმერეთის მოსახლეობის მხოლოდ 32% თუ იქნება ბუნებრივი გაზის ცენტრალურ გამანაწილებელ სისტემასთან დაკავშირებული. დაახლოებით 29% მოსახლეობის დამოკიდებულია სატვირთო მანქანებზე, რომლებიც რეგულარულად მიაწოდებენ გაზის ცილინდრებს მოსახლეობას. მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს არ გააჩნია დარეგულირებული ბუნებრივი გაზის მიწოდების სისტემა.

მომზადებულია:



თანამშრომლობით:



ბარსელონა/თბილისი, 2012 წლის 1 აგვისტო